ცნობის ფურცელი

№ 2240 შაბათი, 19 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2240

ხელის-მოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და ქ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

ДЕСЯТЬ ДНЕИ

18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 26, 27 и 28 Августа

въ магазинѣ

П. С. ДОРОЖНОВА

НАЗНАЧЕНА

ДЕШЕВАЯ ПРОДАЖА

До 50,000 остатковъ, полотняныхъ, бумажныхъ, цвѣтныхъ лѣтныхъ тканей, цвѣтной бумазей и проч сезонныхъ товаровъ.

Громадная скидка со всѣхъ товаровъ.

Магазинъ будетъ открываться въ дни распродажи съ $9^{1}/_{2}$ час. утра до 2 час. дня и отъ $4^{1}/_{2}$ ч. до $7^{1}/_{2}$ вечера. (3—139—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ფსიქიკის ავადმ. და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გლდიკოვსკაიას ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., სად. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წთ.)

ხონის მარიამის სახელობის დედათა სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებით ეგზამენები ამ სასწავლებლის მოსწავლეთა მოხდება 26, ხოლო მისაღები—27 და 28 აგვისტოს. თავისუფალი ადგილი საკმაოა როგორც მოსამზადებელ, ისე მაღალ კლასებში. თხოვნები მიიღება 15 აგვისტოდან. (5—5—5)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(კლდისაბნის ქუჩ. № 38)

შეგმ დაბრუნდა ტფილისში და იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2-მდე. საღამ-საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოთი 5—7 მდე. (3—3)

საჭიროა

ახალგაზრდა ქართველი ექიმი

კერძო სამკურნალოსათვის.

ექიმმა უნდა იცხოვროს მუდმივ თვით სამკურნალოში.

მიმართეთ: გედევანიშვილის საავადმყოფოში დირექტორს და კბილის ექიმს ჭიჭინაძეს. (6—6.—4)

ს. ი. ვიტტე

გუშინდელ დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე დაინიშნა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ. შარშან ათი წელიწადი შესრულდა, რაც ვიტტე რუსეთის სახელმწიფო ფინანსებს განაგებდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის საფინანსო საქმეებში ძირითადი ცვლილებანი მოხდა. წინად, ვიტტემდე, სახელმწიფო ბიუჯეტი მეტ წილად დამყარებული იყო პირდაპირ გადასახადებზე. ვიტტე ახალ საფინანსო პოლიტიკას დაადგა: გადასახადის უღელი ვიტტემ კაპიტალის პატრონთაც დაადო; გარდა ამისა დღეს არა პირდაპირი გადასახადები ბევრად აღემატება პირდაპირ გადასახადებს.

ამავე პოლიტიკასთან ერთად ვიტტემ გააძლიერა მფარველობითი „სისტემა ანუ პროტექციონიზმი. რუსეთის მრეწველობის ასადორძინებლად ბ-ნმა ვიტტემ გზა შეუკრა უცხო ქვეყნის ნაწარმოებს. საზოგადოდ პროტექციონიზმი რუსეთში ისე არასოდეს არ აღყვავებულა, როგორც ვიტტეს დროს. პირველ ხანს ამ სადამოქნო პოლიტიკას თითქოს კარგი შედეგი მოჰყვა: გამრავლდა ქარხნები, გაძლიერდა მრეწველობა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ნაწარმოების სიმრავლემ მოთხოვნილებას გადააჭარბა, გაჩნდა კრიზისები.

რუსეთის ბიუჯეტი ვიტტეს დროს მეტად გაიზარდა. წინანდელ ფინანსთა მინისტრის დროს ეს ბიუჯეტი ძლივს აღემატებოდა 800 მილ. მანეთს, ეხლა-კი ბიუჯეტმა მიაღწია $1^{1}/_{2}$ მილიარდამდე. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ვიტტემ პირველად გაუთანასწორა ხარჯი შემოსავალს. წინად არც ერთი წელიწადი უდეფიციტოდ არ თავდებოდა; ვიტტემ მოსპო ეს დეფიციტები. ვიტტემ გამოსძებნა შემოსავლის ახალი წყაროები: გამოისყიდა რკინის გზები, შემოიღო მაგარ სასმელების მონოპოლია, ბაჟი დაადო სპიჩკას, გაადიდა ნავთის აქციზი და სხვა. ყველა ამას გარდა ვიტტემ ოქროს ვალიუტა შემოიღო.

ბიუჯეტის გაძლიერებამ ხალხის კეთილდღეობაზე დიდი გავლენა იქონია: ხალხის ძალა შესუსტდა, ველარ შესძლო ყველა ხარჯის გაძლოლა. დიდ გადასახადებს ზედ დაერთო ხშირი მოუსავლობა და შიმშილობა. 1891 წლიდან დაწყებული ხალხი საოცარ გაჭირვებაში ჩავარდა. ამ გაჭირვებისა და სოფლის საჭიროებათა გამოსარკვევად, ბ-ნ ვიტტეს მეცადინეობით, შესდგა საგუბერნიო კომიტეტები და მთავარი საბჭო. საბჭოს მუშაობა ჯერაც არ დაგვირგვინებულა. ეს იყო უკანასკნელი საქმე ბ-ნ ვიტტესი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბ-ნმა ვიტტემ შექმნა საქარხნო და საფაბრიკო კანონმდებლობა: შემოიღო საქარხნო ინსპექცია და სხვა.

საზოგადოდ ვიტტე ნიჭიერი და მეტად მხნე კაცი იყო, ამიტომ ამას სხვა სამინისტროებზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. რაც შეეხება ვიტტეს მოადგილეს, ახალ მინისტრს, იგი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ჯერ ცნობილი არ არის.

ვიტტე ტფილისში დაიბადა 1849 წელს. იმისი მამა კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრად იყო. ტფილისის გიმნაზიასა და ოდესის უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ ვიტტე რკინის გზებზე მსახურებდა. 1887 წელს სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზის გამგედ იყო. 1888 წელს დაინიშნა რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორად და სატარიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, 1892 წელს გზათა მინისტრად, ხოლო 1893 წელს—ფინანსთა მინისტრად.

საზღვარ-გარედ

მაკედონია. ბოლგარიაში ძლიერ ბევრი მაკედონელი ბოლგარი ცხოვრობს. სოფიაში, თუ სხვა ქალაქებში მაკედონელები წრეებს აარსებენ; ყოველი წრე ორ კაცს ირჩევს; არჩეული კაცები ერთ საერთოკომისიას აარსებენ და მაკედონიაში მებრძოლ თანამოძმეებს ყოველნაირ დახმარებას უწევენ.

◆ ბელგრადიდან სწერენ „ფრანკფურტ. ცაიტუნგ"-ს: ორიოდე დღეა, რაც აქ მაკედონელთა მეთაურის ბორის სარაფოვის ამხანაგი რადევი ჩამოვიდა. რადევი სოფიის მაკედონელთა კომიტეტის სახელით ურჩევს სერბებს, ბოლგარებს მხარი დაუჭირეთ და მაკედონიის გასანთავისუფლებლად საერთო ლიგა დავაარსოთო. ამბობენ, სერბებმა მოიწონეს რადევის აზრი და მალე კრებას მოახდენენ და საერთო ლიგის დაარსებაზე მოილაპარაკებენო.

◆ მაკედონელი ვლახები, ანუ რუმინები აქამდე არაფერ დახმარებას არ უწევდნენ აჯანყებულ ბოლგარებს, ეხლა კი ესენიც გუნებაზე მოსულან და ბოლგარების გვერდზე იბრძვიან თურმე. აჯანყებულთა ერთ რაზმს რუმინიელი პორუჩიკი კოშკა მეთაურობს

◆ აჯანყებულებმა ქალ. კრუშევო აიღეს და კარგა ხანსაც გამაგრდნენ აქა. ოსმალეთის ჯარი მოვიდა, ალყა შემოარტყა და აჯანყებულთ დამორჩილება მოსთხოვა და რაკი უარი მიიღო, ქალაქს ზარბაზნების სროლა დაუწყო. ქალაქის ხალხი ტყეში გაიქცა, აჯანყებულთ-კი, 1,200 კაცი იყო, მთისკენ დაიხიეს. ზარბაზნის ყუმბარებმა 250 სახლი დაანგრია; ოსმალებმა მარტო 120 მოხუცებული კაცი და ქალი დაიჭირეს და ბიტოლიაში გაგზავნეს.

◆ ოსმალეთის მთავრობამ ჯარით გაავსო მაკედონია. სალონიკში ეხლა 239 ბატალიონი ჯარი დგას, 77 ბატარეია და 37 ესკადრონი: სულაა 167 ათასი ქვეითა ჯარი, 3,700 ცხენოსანი, 424 ზარბაზანი და შესაფერი რიცხვი საპიორებისა და სხვა ჯარისა.

◆ ოსმალეთის მთავრობისათვის მოუხსენებიათ, რომ რკინის გზებზე მიამუშავე ბოლგარები აჯანყებულებს დახმარებას უწევენო. გაჯავრებულ მთავრობას ყველა ბოლგარი მუშა დაუთხოვნია. უსაქმოდ დარჩენილი მუშებიც ამდგარან და აჯანყებულთ რაზმებში შესულან და რკინის გზებისა და ხიდების აფეთქებას შესდგომიან. თავიანთ ახალ საქმეს მუშები თურმე დიდის მოხერხებით ასრულებენ, რადგან ამ საქმეში გამოცდილები არიან და რკინის გზების ყოველი ფეხის გადადგმა კარგად იციან.

◆ უსკიუბის რკინის გზაზე კიუპრიუს ახლო აჯანყებულთ მატარებელი ააფეთქეს, ხიდზე ყუმბარები დააწყეს, ოთხი დარაჯი ჯარის-კაცი დასჭრეს და ერთიც მოჰკლეს. ოსმალელი ჯარის კაცები მატარებლიდან გადმოვიდნენ და ლიანდაგი დაათვალიერეს. მუშა ბოლგარები შეჰხვდნენ: ერთმანერთს ლანძღვა დაუწყეს; ბოლგარებმა ჯარს ქვა დაუშინეს; ჯარის-კაცები გაცეცხლდნენ და 4 მუშა იქვე მოჰკლეს; დანარჩენნი გაიქცნენ. ჯარის-კაცები სადგურის შენობაში შეჰყვნენ მუშებს და ძებნა დაუწყეს. ოფიცრებმა ბევრი უშალეს, მაგრამ ჯარის-კაცები ვერ დააშოშმინეს; ხმა დადის, ჯარის-კაცებმა თითონ სადგურის უფროსიც კი მძიმედ დასჭრესო. სოფიიდან იწერებიან, ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის კონსულებმა უსკიუბში ადგილობრივ ვალის მოსთხოვეს, მთელი ბატალიონი, რკინის გზის მუშა ბოლგარებს რომ დაეცა, სამართალში მიეცითო, მაგრამ ვალიმ უარი უთხრათ ამაზეო.

◆ ბელგრადში ცნობა მიუღიათ ბიტოლიიდან, ვითომ მაკედონიის უმთავრეს ინსპექტორს ხილმი-ფაშას ოსმალეთის ჯარისათვის ებრძანებინოს, ყველა ქრისტიანთა სოფელს, სადაც მამაკაცები აღარ დარჩენილა, ცეცხლი წაუკიდეთ და დასწვითო; რამდენიმე სოფელი დასწვეს კიდეც და იქაური ქალები და ბავშვები უსახლ-კაროდ დარჩნენ და უპატრონოდ დაიარებიანო. ხილმი-ფაშამ იმიტომ მოახდინა ასეთი განკარგულება, რომ ეს სოფლები აჯანყებულთ პურსა და სხვა სურსათს უზიდავდნენო. სოფიიდან იუწყებიან: აჯანყებულთ სამხედრო კომიტეტმა ბიტოლიის კონსულებს ჰექტოგრაფით დაწერილი პროტესტი გამოუგზავნა და გამოუცხადა, ოსმალები მშვიდობიან ბოლგართ სოფლებს სწვავენო.

◆ რუსეთის კონსულ როსტკოვსკის მოკვლის თაობაზე მონასტირის, ანუ ბიტოლიის ვალი ალი-რიზა-ბეი გადააყენეს და ტრიპოლისში დაკარგეს. ამის მაგიერ მთავრობამ ხაზიმ-ბეი დანიშნა. ახალი ვალი წასულა კიდეც მონასტირში. წასვლის წინ, ხაზიმ-ბეი ხონთქარს დაუბარებია და დაურიგებია, როგორ მოიქცეს. სტამბოლიდან სწერენ „პოლ. კორესპონდენც."-ს: ხაზიმ-ბეის დანიშვნა არ მოეწონათ ევროპის დიპლომატებსაო; დიპლომატები ჰფიქრობენ, ახალი ვალი გამოუცდელი კაცია და მონასტირის ვილაეტის მმართველად არ ივარგებსო; ოსმალეთს უფრო გამოცდილი და დახელოვნებული კაცი უნდა დაენიშნაო.

◆ ახალ პაპის პიუს მე-X ყურადღება მიუქცევია მაკედონიის ბედ-კრულ ყოფისათვის. რომიდან იწერებიან, ვითომ პაპი პიუს მე-X ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებას აპირებდეს. პაპი მთელის ქვეყნიერობის კათოლიკეთ ეპისტოლეს მისწერს და ურჩევს, ყველამ თავ-თავიანთ მთავრობას ძალა დაატანოს, რომ ოსმალეთს სისხლის ღვრა და მხეცური ქცევა მოაშლევინონ.

◆ როგორ გადასწყდება მაკედონიის საქმე? ჯერ-ჯერობით ამაზე პასუხის მიცემა მეტად ძნელია, მაგრამ, ზოგიერთ გაზეთს თუ დავუჯერებთ, მაკედონიელების თავ-განწირული გმირობა გამარჯვებით უნდა გათავდეს. ფრანგულ გაზ. „ტან"-ს სწერენ ვენიდან: დიპლომატთა წრეებში ხმა დადის, რომ დიდი სახელმწიფოები მაკედონიის ავტონომიის პროექტს ადგენენო. ამბობენ, სულ პირველად ინგლისის მთავრობამა და ელჩმა მოითხოვეს, რომ მაკედონიას ავტონომია მიეცესო. საფრანგეთსაც ინგლისის მხარე უჭირავსო. ამბობენ, საფრანგეთის თაოსნობით სტამბოლში დიდ სახელმწიფოთა ელჩები კონფერენციას მოახდენენ და მაკედონიას ავტონომიას მისცემენო, ინგლისიც ბეჯითად თხოულობს ამ კონფერენციის გამართვასაო. ხონთქარი მეტად წინააღმდეგია კონფერენციისა, იქნება ხონთქარმა ბოლგარიასთან ომიც კი არჩიოს, მაგრამ, იმედია, საფრანგეთი და ინგლისი ბოლოს ხონთქარსაც დაიყოლიებენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ოსმალეთს, სხვათა შორის, იმასაც სთხოვენ, რომ მაკედონიაში ჟანდარმების ინსტრუქტორებად ევროპიელი ოფიცრები მიიწვიოს. ოსმალეთის მთავრობამ ამას წინად ბელგიის მთავრობას 4 გამოცდილ ოფიცრის გამოგზავნა სთხოვა. ბელგიის მთავრობამ მაშინვე თანხმობა გამოაცხადა, მაგრამ სწორედ ამ დროს შვეციის ელჩმა გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, თუ უსკიუბში ორ შვედ აფიცერს ეხლავე ჯამაგირს სრულიად არ მისცემთ, სამსახურს თავს გაანებებენო. მაკედონიაში ორი მილიონი სული სცხოვრებს, აქ სულ მცირედ 200—300 ევროპიელი ოფიცერი იქნება საჭირო. ამოდენა ხალხის შენახვა, რასაკვირველია, ძლიერ გაუჭირდება მთავრობას და იქნება სახელმწიფოთა მოთხოვნილებასაც ასე მძიმედ იმიტომ ასრულებს ოსმალეთიო, შეჰნიშვნენ გაზეთები.

ავსტრო-უნგრეთი. იმპერატორმა ვენაში ჰუნგრეთის გამოჩენილი სახელმწიფო კაცები დაიბარა სამინისტროს კრიზისზე მოსალაპარაკებლად. ამბობენ, იმპერატორი ჰუნგრეთის სახალხო კათოლიკე ეროვნულ პარტიის მეთაურის გრაფ იოანე ზიჩის დაბარებასაც აპირებდაო. ლიბერალური პარტია ძლიერ აღელვა ამ ამბავმა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იმპერატორი კაბინეტის შედგენას ლიბერალურ პარტიის წევრს მიანდობდა. პირველად ხმა გავრცელდა, რომ იმპერატორმა გრაფ ზიჩის დაბარება თავის მემკვიდრის რჩევით განიზრახაო, მაგრამ მერე გაიგეს, რომ მემკვიდრეს სამინისტროს კრიზისზე ლაპარაკი იმპერატორთან სულაც არა ჰქონია; მემკვიდრეს მაკედონიის საქმეზე ჰქონოდა თათბირი იმპერატორთან და არა ახალ კაბინეტის შედგენაზე.

კოშუტის პარტიას გამოუცხადებია ლიბერალურ პარტიისათვის, პარლამენტის წესით იმპერატორმა ჩვენის პარტიის წევრიც უნდა მიიწვიოს მოსალაპარაკებლადაო, მით უმეტეს, რომ ეს კრიზისიც სამინისტროს ბრალიაო. ლიბერალური პარტია დაჰპირდა კოშუტისას, მაგ მოთხოვნილებას იმპერატორს ვაცნობებთო. ხმა დადის, იმპერატორი შეასრულებს კოშუტის პარტიის მოთხოვნილებასაო.

◆ „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ს სწერენ ზაგრებიდან: ხორვატიაში ძლიერა სწყინთ, რომ იმპერატორმა არც ერთი ხორვატი პოლიტიკური მოღვაწე არ მიიწვია სამინისტროს კრიზისის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ერთი ოპოზიციონური ხორვატიული გაზეთი სწერს: „თუმცა ის კითხვები, რომლებზედაც ვენაში თათბირობენ, ხორვატიასაც შეეხება, მაგრამ იმპერატორს ხორვატიის აზრის გაგება საჭიროდ არ მიაჩნია. ხორვატიას ყურს არ უგდებენ. ხორვატიის წარმომადგენლებს მაშინაც კი არ ალაპარაკებენ, როცა მთელის ჩვენის ქვეყნის ბედი სწყდება“.

◆ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს სწერენ ვენიდან: ჰუნგრეთის ლიბერალები სცდილობენ, რომ ოპოზიციას სამხედრო მოთხოვნილებაზე ხელი აღებინონ და სამაგიეროდ ეკონომიური დამოუკიდებლობა და ცალკე სატამოჟნო ტარიფის დაწესება მოათხოვნინონ. ტისას ჯგუფის ლიბერალებს გამოუცხადებიათ, თუ კოშუტის პარტია სამხედრო რეფორმის მაგივრად ეკონომიურ დამოუკიდებლობას მოითხოვს, ჩვენც მხარს დავუჭერთო.

ინგლისი. ჩემბერლენმა ამ დღეებში სატარიფო საქმეზე ახალი წერილი დასწერა. „ვლაჩესტერ ჟურნალ“-ში, 1846 წელს ვოლტმირის საგრაფოს ერთ სოფელში მომხდარი მუშების კრება იყო აწერილი. კრებას მაშინ რეზოლიუცია დაედგინა და პურის კანონების წინააღმდეგ პროტესტი გამოეცხადებინა. კრებას ამავე დროს გამოეცხადებინა, მუშები საცოდავად ცხოვრობენ და ძლივს „მიდიან იოლად, თუმცა კი დიდი იმედი აქვთ, რომ იმათ ინტერესებს მფარველობითი ტარიფი იცავსო“ ჩემბერლენს ეს წერილი წაეკითხნა და ხსენებულ ჟურნალისთვის 6 აგვისტოს შემდეგი ეპასუხნა:

„ეხლანდელ დროსა და პურის კანონის გაუქმების წინა დროს შუა არაფერი მსგავსება არაა. მრეწველობის მდგომარეობა მას აქეთ რკინის გზებისა, ელექტრონისა და სხვა ახალ მოგონებათა წყალობით მთლად შეიცვალა. მრეწველობის მუშებმა მრავალი საზოგადოება და კავშირი დააარსეს და საარჩევნო უფლება მიიღეს, თვით სოფლის მუშებსაც კი დიდი პოლიტიკური ძალა აქვთ. ინგლისელ მუშა-ხალხის გაჭირვება და ტანჯვა მე-40 წლებში სხვა მრავალ მიზეზის ბრალი იყო და არა სატამოჟნო ტარიფისა. ამას გერმანიისა და შვეციის მაგალითი გვიმტკიცებს. ამ ქვეყნებში მფარველობითი ბაჟები დააწესეს და მრავალ მუშას საქმე გაუჩინეს და მდგომარეობა გაუუმჯობესეს“.

◆ „დეილი მეილ“-ი სწერს: უელსის მადნებში ეხლა დიდ-ძალ ქვა-ნახშირს ჰყიდულობენო. ინგლისის საზღვაო სამინისტრო შეეკითხა მადნის მმართველობას, მილიონი ტონა ნახშირი რა დაჯდებაო; ეს ნახშირი ინგლისის უმთავრესს საზღვაო სადგურებში უნდა გაიგზავნოს, მომეტებულ ნაწილად გიბრალტარსა და კუნძულ მალტაზე. რუსეთსაც თითქმის ამდენივე შეუკვეთნია; ოსმალეთის აგენტებიც დიდ ძალ ქვა-ნახშირს ყიდულობენ.

საფრანგეთი. გაზეთები იუწყებიან, თავისუფალ მოაზრეთა ჯგუფი ლურდში მლოცავების წინააღმდეგ მანიფესტაციის გამართვას აპირებდაო. იქაურმა საქალაქო საბჭომ ღონისძიება მიიღო, რომ ერთი მანიფესტაცია ველარ მოახდინონ. ანტიკლერიკალური გაზ. „აქსიონ“-ი კომბსა ჰკიცხავს: საცოდავ დანგრეულ სალოცავებს ჰხურავს და ამისთანა მდიდარ სალოცავებს, როგორიცაა ლურდი, ლა-სალეთი, ფურვიერი და იქაური აუარებელი პროცესიები, მლოცავები და კლერიკალური მანიფესტაციები კი ხელუხლებელი დასტოვაო.

◆ შარანტის სადეპარტამენტო საბჭომ ერთხმად სურვილი გამოსთქვა, მთავრობა ინგლისს დაუახლოვდეს და სავაჭრო და მეგობრულ პირობით შეეკრასო. მარნის სადეპარტამენტო საბჭომაც ამავე შინაარსის ადრესი გაუგზავნა რესპუბლიკის პრეზიდენტს. ადრესში ნათქვამი იყო, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ერთა დაახლოვება ეკონომიურად დიდად სასარგებლო იქნება განათლებულ კაცობრიობისათვისაო.

გაზ. „ტან“-მა ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიურ დაახლოვებაზე წერილი დასწერა. გაზეთს მეტად სასარგებლოდ მიაჩნია ეს დაახლოვება; მართალია, ეს დაახლოვება არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ზოგსა ჰგონია, მაგრამ არც თუ შეუძლებელია. ეს მით უფრო სასარგებლო იქნება, რომ ეკონომიური თანხმობა—საზოგადო მშვიდობიანობის დედააო, ამბობს გაზეთი.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 18 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზე, ძმათა ბოზარჯიანცების მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე, კინაღამ **კაცის კვლა მოხდა.** ბოზარჯიანცებს მაღაზიაში ნოქრად ჰყოლიათ ტფილისის მოქალაქე ნიკოლოოზ საკოვი, რომელიც ამას წინად დაუთხოვნიათ. როგორც გადმოგვცეს, მიზეზი ისა ყოფილა, რომ ნოქარს ჯამაგირის მომატება მოუთხოვნია. საკოვი ამის შემდეგ ადგილზე ველარ დამდგარა. ამას გარდა იოსებ ბოზარჯიანცს მომრიგებელ მოსამართლესთან უჩივლია, ნიკოლოოზ საკოვს 20 მანეთი მართებს ჩემიო. მოსამართლეს საქმე ბოზარჯიანცის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. ყველა ამის გამო საკოვი დაჰმუქრებია ბოზარჯიანცებს, რომელთაც პოლიციისათვის უცნობებიათ, რომ ეს კაცი სიკვდილს გვემუქრებაო. საკოვი არ შეუპყრიათ, რადგან არავითარი საბუთი არ აღმოჩენილა იმისა, რომ საკოვს ვისიმე სიკვდილი განეზრახოს. გუშინ საკოვი შესულა მაღაზიაში და დაუწყია ლაპარაკი იოსებ ბოზარჯიანცისათვის. ამ ლაპარაკის დროს საკოვს ამოუღია რევოლვერი და უსროლია იოსებ ბოზარჯიანცისათვის, მაგრამ აუცდენია. იქვე ყოფილა კომისიონერი რიველისი, რომელსაც უტაცნია ხელი საკოვისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელს რევოლვერის ერთხელ გასროლა კიდევ მოუსწრია. ტყვია კიდევ ასცდენია ბოზარჯიანცს. ბოლოს საკოვი შეუპყრიათ და პოლიციაში წაუყვანიათ.

◆ **ტერ-გრიგორიევი,** რომელიც ამას წინად ტფილისიდან თიონეთის მაზრაში გადაიყვანეს ბოქაულად, თავისივე სურვილით სრულიად დაუთხოვნიათ თანამდებობიდან.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ **ზგარაგების პატრონებმა მცხეთის მახლობლად** შუამდგომლობა აღძრეს მატარებლების გასაჩერებლად ბაქანის გამართვის შესახებ. მცხეთის მახლობლადვე იმართება საზაფხულო ახალშენი ტფილისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთათვის. როგორც ეხლა „კავ.“ გადმოგვცემს, მთავრობას შეუწყნარებია აგარაკის პატრონთა შუამდგომლობა. ბაქანი უკვე გამართეს მცხეთასა და შიო-მღვიმის ბაქანს შუა.

◆ ტფილისის მაზრის უფროსს უკვე გამოუძიებია **სოფელ პატარძეულში** ადგილობრივ მამასახლისისა და 26 კაცის საქმე. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამათ მთელი სოფელი ქურდობასა და ავკაცობას აბრალებდა. როგორც „ნოვ. ობოზ.“ გადმოგვცემს, მაზრის უფროსი გამოძიების დროს დარწმუნებულა, რომ მამასახლისი ოთარაშვილი მართლაც ხელმძღვანელობდა ქურდებს და ავიწროვებდა მთელ სოფელს. ოთარაშვილი და იმასთან ერთად 26 სხვა სოფლელი პასუხის გებაში მისცეს.

◆ ტფილისის ნოქართა ერთ წრეს, როგორც „კავ.“ გაუგია, განუზრახავს ტფილისში **ნოქართა კლუბის მოწყობა.** კლუბში გაიმართება წარმოდგენები, კონცერტები და სხვა. წესდების პროექტს მალე წარუდგენენ მთავრობას.

◆ სოფელ მოხისში (თრიალეთი), როგორც იქ გაგზავნილ ბეითლის დედაბრიშვილის მოხსენებიდანა სჩანს, საქონელს **ციმბირის წყლული** გასჩენია. ამ სენით 200 სული საქონელია თურმე ავად.

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წინადადება მისცა კავკასიის ყველა გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობებს, ის საქმეები, რომელიც **გერმანელთა კოლონიების მცხოვრებთ** შეეხება, გადასცენ საგლეხო საქმეთა საკრებულოებს, რადგან ამ კოლონიების საქმეთა მართვა-გამგეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

◆ „სიმენსისა და გალსკის“ ფირმას კერძო **სახლების გასანათებლად ელექტრონით** ბებუთოვისა და ველიამინოვის ქუჩებზე რამ-

ფელეტონი

თანამედროვე გალიციის ცხოვრებიდან

(შემდეგი *)

V.

პარტიები.

როდესაც გალიციამ თვით-მმართველობა მოიპოვა, პირველი ადგილი დაიჭირეს, როგორც პარტიამ, მიწის მსხვილ მესაკუთრეების ახალგაზრდა წარმომადგენლებმა. ეს პარტია ქონებრივად ყველაზე წინ იდგა და მთავრობაზე დიდი გავლენა ჰქონდა. მას მიემხრო ბევრი განათლებული პირი—პროფესორები, ადვოკატები და სხ. უნივერსიტეტები, აკადემია, გიმნაზიები, მთავრობის სხვა და-სხვა დაწესებულებანი მის ხელში იყო. მრეწველობა ძლიერ სუსტად არის განვითარებული გალიციაში და ამიტომ ბურჟუაზიას არ შეეძლო ქიშპობა გაეწია თავად-აზნაურთა პარტიისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე. ბურჟუაზიის მიერ დაარსებული ლიბერალური პარტია მეტად უღონო იყო, თანაც თავად-აზნაურებმა მიიმხრეს ზოგიერთი ლიბერალი.

კიდევ უფრო სუსტი იყო დემოკრატთა ჯგუფები ქალაქებში, რომელნიც თხოულობდნენ უფლებებს ხალხისათვის და რომელნიც დამყარებულნი იყვნენ ხელოსნებსა, წვრილ ვაჭრებსა და ინტელიგენციის ერთს ნაწილზე. ქალაქის დემოკრატებმა სასტიკი წინააღმდეგობა გამოუცხადეს თავად-აზნაურებს, მაგრამ თვითონ ნათლად არ ჰქონდათ გამორკვეული, თუ რა იყო საჭირო ხალხისთვის.

შესაფერი წინააღმდეგობა შეეძლოთ გაეწიათ თავად-აზნაურებისათვის მარტო გლეხებს, რომელთა ინტერესები ხშირად არ ეთანხმებოდა პირველთა ინტერესებს. მაგრამ გალიციის გლეხობა ღრმა ძილში იყო. ვიდრე განათლება გავრცელდებოდა ხალხში, გლეხებს ნაკლებად ეინტერესებოდათ პოლიტიკა. მხოლოდ ბოლო დროს ამოძრავდნენ გლეხები.

გლეხების მოძრაობას ყველაზე უფრო ახასიათებს საგლეხო გაზეთების განვითარება. თავ დაპირველად საგლეხო გაზეთის გამომცემელს თვითონ უნდა აევსო საკუთარის წერილებით გაზეთი, გლეხები მცირე შენიშვნებს თუ უგზავნიდნენ; შემდეგ კი გლეხებმა დაიწყეს მრავალის წერილის, მოთხრობის და ლექსის გამოგზავნა გაზეთისათვის, და რედაქტორს მხოლოდ ყოველ ნომრისთვის შესაფერ მასალის ამორჩევა-ღა რჩებოდა. გლეხები დიდის ნდობით ეპყრობიან თავის გაზეთის რედაქტორს, ხშირად მიმართავენ მას სხვა-და-სხვა რჩევისათვის, აცნობებენ თავის გაჭირვებასა და დარდებს.

გლეხების მოძრაობას დიდი სამსახური გაუწია მღვდელმა სტანისლავ სტოიალოვსკიმ. როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, 1875 წელის მან დააარსა გაზეთები „ვვირვვინი“ და „ფუტკარი“, რომელშიაც უხსნიდა ხალხს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კითხვების მნიშვნელობას. სტოიალოვსკის გაზეთებში ყველაფერი ცოცხლად იწერებოდა, მარტივად, გასაგებად და გლეხები თავიდანვე დაინტერესდნენ გაზეთების წერილებით.

1889 წელს, სწორედ სეიმის არჩევნების წინად, ლვოვში დაარსდა მესამე საგლეხო გაზეთი, „ხალხის მეგობარი“, ბოლესლავ ვისლოუხის რედაქტორობით. ახალი გაზეთი არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ გლეხთა შორის გაეღვიძებია ინტერესი პოლიტიკურ საგნებისადმი; მან პირდაპირ გამოაცხადა და მოითხოვა: გლეხების არჩევა სეიმსა და პარლამენტში და გლეხების ინტერესების დაცვა გლეხების მიერვე. ასეთმა წინადადებამ, რომ გლეხები არჩეულნი ყოფილიყვნენ დეპუტატებად, მთელი ალიაქოთი გამოიწვია გალიციაში. ყველა იმას გაიძახოდა: „როგორ შეიძლება ყრუ გლეხები შევუშვათ იქ, სადაც რთული და დიდ-მნიშვნელობიანი საქმეები ირჩევაო“! მაგრამ ვისლოუხის აგიტაციამ თავისი გავლენა იქონია, გლეხებმა წამოაყენეს თავისი კანდიდატები და კიდეც აირჩიეს ოთხი დეპუტატი. გლეხთა დეპუტატებმა გაამართლეს ვისლოუხის იმედები და სრულიად შეგნებულად და სერიოზულად სჯიდნენ სეიმში სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნებზე. გლეხთა დეპუტატებმა რამდენიმე წინადადება შეიტანეს სეიმში გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საზოგადოებამ დაინახა, რომ გლეხები წარმოადგენენ ძალას, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ ყოველთვის. საზოგადოება ჰკითხულობდა გლეხების წერილებს გაზეთებში და ძალაუნებურად უფრო და უფრო მეტის პატივისცემით დაუწყო მათ ყურება. გლეხები იჩენენ დიდს ცოდნას და დაკვირვებას, მათ შორის ბევრი სპეციალისტია— ამა თუ იმ საქმის მცოდნე; გლეხები თავიანთ წერილებში ეხებიან როგორც კერძო პროვინციის, ისე მთელი სახელმწიფოს ეკონომიურ ინტერესებს და წმინდა პოლიტიკურ კითხვებსაც. უმთავრესი საგანი გლეხთა წერილებისა კი არის: ქონებრივი და ზნეობრივი განთავისუფლება გლეხებისა. თხოულობენ ეკონომიურ და პოლიტიკურ რეფორმებს და ამასთანავე აცხადებენ, რომ ამ რეფორმების განხორციელება შეიძლება მაშინ, თუ გლეხები დაიჭერენ სეიმსა და პარლამენტში შესაფერს ადგილს.

თავის ინტერესების გამოსარკვევად და გამოსაცხადებლად გლეხები მართავენ აგრეთვე საზოგადო კრებებს, ანუ „ვეჩერებს“. კრებები იმართება ან რომელისამე ოლქისათვის, ან მთელი გალიციისათვის. ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო „ხალხის მეგობრის“ რედაქციის მიერ გამართული კრება 1894 წ. ლვოვში საპროვინციო გამოფენის დროს. კრებას დაესწრო სამი ათასზე მეტი გლეხი სხვა-და-სხვა კუთხიდან; იყვნენ ახალგაზრდები და მოხუცებულები, ქალები და კაცები. პირველ დღეს გლეხებმა დაათვალიერეს გამოფენა, რომლის თავმჯდომარემ თავადმა საპეგამ მისალოცავის სიტყვით მიმართა გლეხებს და აღნიშნა, რომ გლეხები და მემამულე თავად-აზნაურები ერთად უნდა მოქმედებდნენ, გლეხები უნდა ერიდებოდნენ „ცრუ მოციქულებსო“. საპეგას უპასუხა გლეხმა სკვარამ, რომელმაც მეტად ზრდილობიანად ილაპარაკა, მაგრამ პირდაპირ გამოსთქვა, რომ გლეხები მაშინ ამოუდგებიან აზნაურებს გვერდში, თუ უკანასკნელნი რამე ხეირიან საქმეს დაიწყებენო. კრება-ვეჩერი დაიწყო მეორე დღეს. გლეხებმა ილაპარაკეს გალიციის მდინარეე-

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2238.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმე ბოძი დაუდგამს. გუშინ ამ ქუჩების მცხოვრებლებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, რადგან ფირმა ქალაქის ქუჩებით სარგებლობს, დაავალონ, რომ სამგან-ოთხგან ელექტრონის ფარნები დასდგან ქუჩების გასანათებლადაო.

◆ 21 აგვისტოსათვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებისა**. ეს კრება მეორეა და კანონიერი იქმნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ 17 აგვისტოსათვის დანიშნული იყო **დურგალთა ამხანაგობის „შრომის" წევრთა** საზოგადო კრება. კრება არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, და გადაიდვა 24 აგვისტოსათვის.

◆ გუშინ, 18 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულს, იღონოს რამ, რომ პუშკინის ქუჩის ქვაფენილზე მეხილესი და ვაჭრები არ გამოდიოდნენ სავაჭროდ, რადგან ამ ქუჩაზე დიდი მოძრაობაა ხალხისაო.

◆ თელავის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია, ნავთის დასაწვავი ღუმელი გადააკეთოს ისეთ ელექტრონის მომძრავ სადგურად, სადაც შეიძლებოდეს ნავთის დაწვა, ისე კი, რომ ნავთი, როგორც გასათბობი მასალა, ელექტრონისათვის იყოს გამოსადეგი. ამის გამო თელავის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას—შეატყობინოს, აქვს თუ არა ტფილისს ელექტრონის სადგური, სადაც ნავთი ისმობოდეს.

◆ ტფილისის მოქალაქემ ვ. მაკაროვმა გუშინ მოხსენება წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომელშიაც აცხადებს, თანახმა ვარ დავუთმო ორი არშინი ადგილი ვერაზედ იოანე ნათლის მცემლის ეკლესიასთან ქუჩის გასაფართოებლადაო.

რუსეთის ქრონიკა

◆ 11 აგვისტოს იდღესასწაულეს პეტერბურგში აკადემიკოსის გენერალ დუბროვინის მოღვაწეობის 50 წლის იუბილეი. დუბროვინი, სხვათა შორის, ჩვენ ისტორიულ წარსულს იკვლევდა. ცნობილია შემდეგი მისი ნაწერები: „საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII და საქართველოს შეერთება რუსეთთან", „კავკასიაში რუსთა მფლობელობის ისტორია" და სხვ.

◆ ვიწრო პატრიოტულ მიმართულებით ცნობილ პეტერბურგის „რუსკოე სობრანიე"-ს თანაგრძნობა მოუპოვებია ვარშაველ რუსთა შორის. ამ „სობრანიეს" წევრებად ჩაწერილან ადგილობრივი უნივერსიტეტის ათი პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, იურისტები, ოფიცრები, ინჟენერები, მოსწავლებლები და სხვა.

◆ სარატოვის საერობო გაზეთის ცნობით, უკანასკნელ 22 წლის განმავლობაში სარატოვის გუბერნიის თავად-აზნაურთ დაუკარგავთ საშუალო რიცხვით ნახევარი თავისის მამულებისა.

◆ ყირიმიდან ოსმალეთში გადასახლებულ თათრების მდგომარეობა სამწუხარო ყოფილა. ოსმალეთიდან ჩამოსულთა სიტყვით, იმ ადგილებში, სადაც ყირიმის თათრები სახლდებიან, ხე-ტყე ძლიერ ძვირი ყოფილა, ძვირია აგრეთვე საქონელი, სამეურნეო იარაღი; გზებიც ძლიერ ცუდია იმ მხარეზე. ოსმალეთის მთავრობა ცოტას ეწევა გადმოსახლებულთ, რომელნიც ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან თურმე.

◆ გამოცხადებულ იქმნა უმაღლესად დამტკიცებული წესები რუსეთიდან უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთა გაგზავნის შესახებ.

◆ მოსკოვში ერთი უცხოელი ვაჭარი ჩამოსულა, რომელსაც განუზრახავს მოსკოვის ღარიბ მკვიდრთა შორის სხვა-და-სხვა ნაირ ნივთებით ვაჭრობის გამართვა იაფ-ფასად და ფასის დრო გამოშვებით გარდახდით. მსყიდველებს თავდებად უნდა დაუდგეს რომელიმე საქველ-მოქმედო საზოგადოება.

◆ მოსკოვის ქალაქის გამგეობამ გამოსცა 1902 წლის ანგარიში, რომლიდან სჩანს, რომ ქალაქის მთელი შემოსავლის ნახევარი, 8,600,000 მან. სხვა-და-სხვა გადასახადებისაგან შესდგება.

◆ პეტერბურგში ერთი ახალი საზოგადოება შემდგარა, რომელსაც მიზნად ჰქონია რუსეთში დასახლებულ უცხო ტომთა სარწმუნოების და ცხოვრების შესწავლა. ამ საქმის მოთავეთ სურთ გახსნან საზოგადოების განყოფილებანი ვარშავასა, ტფილისსა, ჰელსინგფორსსა, ვლადივოსტოკსა და იმ ადგილებში, სადაც უცხო ტომის ხალხნი არიან დამკვიდრებულნი.

◆ ქ. ბობრუისკის ქუჩებში გაკრულია პოლიცმეისტრის განცხადება, რომლითაც ხალხს აეკრძალა ქუჩებში გაჩერება და კრებების გამართვა წესიერების დასარღვევად.

◆ რუსეთის გაზეთებში მოთავსებულია ერთის საზარელ მკვლელობის ამბავი, რომელიც ხერსონის საპყრობილეში მომხდარა. ტუსაღს, გვარად ევლაგინს, თავის ოთახიდან გამოსვლა მოუსურვებია, დარაჯი კი არ უშვებდა და ევლაგინის შესაშინებლად რევოლვერი გამოუღია. ევლაგინს წაურთმევია ეს რევოლვერი, სამჯერ უსროლია დარაჯისათვის და გაქცევა მოუსურვებია. ევლაგინი დაუკავებიათ. დაჭრილი დარაჯი უიმედო მდგომარეობაში იმყოფება თურმე.

◆ კრასნოიარსკში (ციმბირი) ერთი საინტერესო საქმე საურჩევია ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს. ციმბირში გადასახლებულ გლეხს კრუპენნიკოვს სამართალში მიუცია ადგილობრივი საგლეხო უფროსი იაკოვლევი ცილის-წამებისათვის. საქმის გარემოებიდან სჩანს, რომ იაკოვლევს აუთვალწუნებია კრუპენნიკოვი და ყოველნაირი საშუალებით, სხვა-და-სხვა გვარი ცილის-წამებით სცდილობდა დაემცირებინა იგი საზოგადოების თვალში. კრუპენნიკოვი განათლებული კაცია და ადგილობრივ გაზეთის კორექტორად ყოფილა. მომრიგებელმა მოსამართლემ საგლეხო უფროსს იაკოვლევს 2 კვირით დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ დმიტროვის მაზრაში ერთი უცნაური თავის-ნება მემამულე გამოჩენილა, რომელიც სოფლელებს წამოჰდავებია, ის ადგილი, სადაც ეკკლესია გაქვთ აშენებული, მე მეკუთვნისო, ღობე შემოუვლია ამ ეკკლესიისათვის და შიგ არავის უშვებს თურმე. ამ ბოლო დროს პატარა კარები გაუკეთებია ამ ღობეში, ბოქლომი დაუდვია ზედ, გასაღები თან წაუღია და უბრძანებია დარაჯისათვის, მკვდარს თუ მოასვენებენ, მხოლოდ მაშინ შემატყობინე, ცოცხლებს კი არავის შეუშვებ სალოცავადაო.

◆ ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში მოვათავსეთ ცნობა გეტმან დოროშენკოსაგან დატოვებულ 62 მილიონ მან. მემკვიდრეობის შესახებ. „პეტერ. ვედომ."-ში წერილია დასტამბული ამ გეტმანის შთამომავლის ზეინკალ დოროშენკოსი. წერილიდან სჩანს, რომ გეტმან დოროშენკოს 200 წლის წინად შეუტანია ბანკში ფული; ამ ფულმა იმრავლა და დღეს შვიდასი მილიონი შემდგარა. ზეინკალი დოროშენკო პირ-და-პირი შთამომავალია დოროშენკოსი და ვექილი დაუქირავებია ამ საქმის საწარმოებლად.

პრესსა

კვირის ნომერში მოყვანილი გვქონდა „კურიერ"-ის აზრი ახალ კანონის შესახებ, რომელიც ქარხნის მეპატრონეს ავალებს დაშავებულ მუშების ზღვევას. ამავე საგანს ეხება „იუჟ. ობოზრ". და ამბობს.

> კანონის ძალით მეპატრონეებმა უნდა უზღონ დაშავებულ მუშებს, სქესისა და წლოვანობის განურჩევლად, რომელთაც უბედურის შემთხვევის მიზეზით შრომის უნარი დაჰკარგეს. რა უნდა ვიგულისხმოთ სიტყვა „დაშავებულ"-ში? უეცარი დაშავება, როცა მაგალითად, მუშას რაიმე მძიმე ნივთი დაეცემა, ან მანქანა სხეულის რომელსამე ასოს მოაგლეჯს, ან უჩინარი, შინაგანი დაშავება მუდმივი, ქრონიკული ხასიათისა? ჩვენ ვიცით, რამდენად სწამლავს მუშებს ტყვიის, ვერცხლის წყლის სამუშაო, რა მძიმე ქარებს უჩენს იმათ ქარხნებში დაბუდებული სინესტე, როგორ უსუსტებს თვალებს ცუდი განათება და სხვა. ყველა ამ გარემოებათა მიზეზით შეიძლება მუშა დაშავდეს, დროებით ან სამუდამოთ დაჰკარგოს შრომის უნარი, კანონი-კი ამის შესახებ გარკვევით არასფერს ამბობს. როგორ უნდა უზღონ ამნაირად დაშავებულ მუშებს ქარხნების პატრონებმა.

პირველი მუხლი, რომელშიაც მუშაობისაგან სხეულის დაშავებაა მოხსენებული, თითქო საბუთს გვაძლევს, რომ გარკვეული დასკვნა გამოვიყვანოთ ამის შესახებ, შემდეგი მუხლები-კი, რომელშიაც უბედურ შემთხვევათ ეხებიან, განმარტვენ ამ შემთხვევათ, არკვევენ შრომის უნარის დაკარგვას, ბუნდოვანი ხასიათის არიან. ჩვენ მიერ მოხსენებული შემთხვევანი-კი ძლიერ ხშირი მოვლენაა რუსეთის ქარხნებში. მუშა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ტყვიის, ვერცხლის წყლის ან ფოსფორის ქარხანაში—სნეული კაცია, შრომის უნარი შემცირებული აქვს. დღეს მას ქირას უკლებენ; იგი იძულებული ხდება მძიმე სამუშაოს თავი დაანებოს და სხვა უფრო ადვილს და იაფ-ფასიან სამუშაოს ეძებს. აქვს თუ არა მას უფლება ახალი კანონის ძალით ქარხნის მეპატრონეს აზღვევინოს, როგორც დაშავებულმა მუშამ?

აი ღრმა მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გამორკვევას უნდა მოვუცადოთ, სანამ სასამართლოში არ გაირჩევა ერთი და ერთი ამგვარი საქმე.

⁂

„ვარშავ. დნევ."-კი და „მოსკოვსკ. ვედ."-ი მწარედ დაფიქრებულან. როგორ მივაგნოთ იმ ბოროტის მზრახველთ, რომელნიც უცხოეთის გაზეთებში რუსეთის შესახებ სხვა-და-სხვა ნაირ ცნობებს ბეჭდავენო. ამ სასიქადულო ორგანოთ შინაური სალიტერატურო ჯაშუშობა მოჰყირჭებიათ და საგარეო ჯაშუშობის გზაზე დამდგარან. „ვარშავ. დნ."-ის აზრით, ამ ცნობების ავტორები უცხოელები არიან, რომელნიც სცდილობენ ყოველნაირ საშუალებით დაამცირონ რუსეთი ევროპის თვალშიო. „მოსკოვ. ვედ."-ი არ ეთანხმება თავის მოძმეს და რიხიანად ამტკიცებს, საქმეს ჩვენივე რუსეთის ინტელიგენცია გვიხდენსო.

> ჩვენი ინტელიგენტები, განათლებული თაობა, კანონით ცნობილნი ცილის მწამებელნი არიანო. ლიბერალური ტყუილები—მათი საყვარელი სფერაა; საზღვარ-გარედ მოგზაურობის დროს ისინი ყოველნაირ ცილის წამებას ავრცელებენ ევროპაში რუსეთის შესახებ, და შემდეგ, რუსეთში რომ ბრუნდებიან, სამინისტროთა დეპარტამენტში საპროფესორო და სამოსწავლო კათედრებზე, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, სასამართლოებში და თვით-მმართველობებში ამოჰყოფენ ხოლმე თავს. აი, ესენი წარმოადგენენ ევროპაში გავრცელებულ რუსეთის შესახებ ცილის-წამებათა უწმინდურ წყაროს, რადგან ევროპიელებმა არ იციან, თუ რა საზიზღარი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში რუსეთის „ლიბერალები", რომელნიც ისე თავმომწონედ გაიძახიან, ჩვენ ევროპიელ ლიბერალების თანა-

---

ბის გაწეს-რიგებისა და იმ მავნებლობის შესახებ, რომელიც მოაქვს გლეხთათვის წყალდიდობას, მოითხოვეს სასოფლო მმართველობის რეფორმა, აღნიშნეს, თუ რამდენად ცუდია გლეხთათვის არსებული კანონი ნადირობის შესახებ, როგორი გაზეთებია შესაფერი გლეხებისათვის, რა მნიშვნელობა აქვს „მიწის მუშების ამხანაგობებს".

ამ კრების შემდეგ გლეხების მოძრაობა უფრო განვითარდა და გლეხები მეტის ცოდნითა და შეგნებით შეუდგნენ მომავალის არჩევნებისათვის მომზადებას: დააარსეს ყველგან საარჩევნო კომიტეტები, გაჰგზავნეს კაცები სააგიტაციოდ სხვა და სხვა ადგილას. კომიტეტებმა გადასწყვიტეს დამოუკიდებელ პირების არჩევა, რომელნიც სულით და გულით დაიცვენ მათს ინტერესებს. კომიტეტების დადგენილებანი იბეჭდებოდა „ხალხის მეგობარში". 1895 წელს 28 ივლისს შეიკრიბნენ ერთად საოლქო კომიტეტების წარმომადგენელნი და სახალხო პარტიის ინტელიგენტები მომავალ სასეიმო არჩევნების შესახებ და ცენტრალურ კომიტეტის ამოსარჩევად. კრებამ შეიმუშავა ვრცელი პროგრამა გლეხთა დეპუტატებისათვის: დეპუტატებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ დაცულ იქნას დადგენილებანი ბეჭდვითი სიტყვის და კრებების თავისუფლების შესახებ; დეპუტატებმა უნდა მოითხოვონ სეიმის საარჩევნო კანონის შეცვლა—გათანასწორდეს საარჩევნო უფლება და სხ., რომ უფრო სამართლიანად იქმნეს განაწილებული საზოგადო გადასახადები, შემსუბუქებულ იქმნეს მიწათ-მოქმედების, მრეწველების და ხელოსნების მდგომარეობა, გამრავლებულ იქნეს სკოლების რიცხვი, გაადვილდეს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა, დაკლებულ იქნას სწავლის ფასი, განვითარდეს და გავრცელდეს სატეხნიკო და პროფესიონალური სწავლა-განათლება; გლეხების პარტია უნდა ეწინააღმდეგოს ყოველს კანონს, რომელიც გლეხთა ინტერესს სჩაგრავს, და ხელი შეუწყოს ყოველს დადგენილებას, რომელიც დაეხმარება მათ ქონებრივ წარმატებას და კულტურულ ზრდას.

გლეხთა პარტიამ 21 ოლქში წარმოადგინა თავისი კანდიდატი, აქედან 4 გლეხთა მომხრე ინტელიგენტი იყო, დანარჩენები სულ გლეხები. არჩევნების დროს პოლონელი და რუსინის გლეხები თანხმობით მოქმედებდნენ. ორსავე ერის გლეხებმა ერთს ოლქში საერთო პროკლამაცია გამოსცეს, რომელშიაც ამბობდნენ: „ჩვენ ვცხოვრობთ საერთო მიწაზე, შეერთებულნი ვართ სისხლის, მეგობრობის და მეზობლობის კავშირით, ამიტომ პოლონელების და რუსინების თანხმობა აუცილებელი პირობაა ორივე ხალხის კეთილდღეობისათვის" და სხ. გლეხების პარტიამ აირჩია 12 დეპუტატი, რომელთაც სეიმში საყოველთაო ყურადღება მიიზიდეს თავიანთ ტაქტიკით, საქმის ცოდნით და იშვიათის შრომის მოყვარეობით.

1897 წლის საპარლამენტო არჩევნები ახალი გამარჯვება იყო გლეხებისათვის. მათ აირჩიეს თერთმეტი დეპუტატი პარლამენტისა, რომელთაც გადასწყვიტეს გლეხების ინტერესების დაცვა. ბევრ ოლქში გლეხებმა მხარი დაუჭირეს მუშათა კანდიდატებს და კრაკოვის ოლქში 11000 ხმა დაახმარეს მუშების კანდიდატის არჩევას.

თუმცა გალიციაში მუშათა კლასი ძლიერ მცირეა, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდს როლს თამაშობს ერთობისა და პოლიტიკურ განვითარების შემწეობით. მუშების მოძრაობა დაიწყო 1890 წლიდან. დაარსდა განათლებისა და საპოლიტიკო საზოგადოებანი როგორც კრაკოვსა და ლვოვში, ისე პროვინციალურ ქალაქებში, დაარსდა გამოცემანი მუშებისათვის, იმართება კრებები. ვიდრე პარტია სუსტი იყო, ძლიერ დევნიდნენ და ავიწროებდნენ, მაგრამ დღეს მუშათა პარტია გალიციაში იმნაირივე კანონიერია და იმგვარივე უფლებები აქვს მინიჭებული მას, როგორც სხვა პარტიებს. მუშათა პარტიის გავლენა უფრო გაძლიერდა უკანასკნელ წლებში, როდესაც აირჩია ორი წევრი პარლამენტში. დღეს პარტია მედგრად იბრძვის სეიმის საარჩევნო წესები შეცვლისათვის.

რადგან ფაბრიკის მუშა ცოტაა გალიციაში, ამიტომ მუშათა პარტიამ ყურადღება მიაქცია სოფლის მუშებს, უმამულო და მცირე მამულიან გლეხებს. გაიმართა კრებები სოფლად და დაარსდა გაზეთი გლეხთათვის. მუშათა ყოველ-წლიურ კრებებს ესწრებიან გლეხთა წარმომადგენელნიც. დღეს პარტიის ხელშია 2 საკვირაო გაზეთი მუშებისათვის პოლონურ ენაზე, ერთი ებრაულ ჟარგონზე, 1 გაზეთი გლეხთათვის, რამდენიმე საპროფესიონალო ორგანო (ასოთ-ამწყობთათვის, ნოქართათვის და სხვ.), ერთი ყოველ-თვიური ჟურნალი ინტელიგენციისათვის და ერთიც იუმორისტული ფურცელი.

გალიციის მუშათა მისწრაფებანი იგივეა, რაც საზოგადოდ ევროპის მუშებისა. გარდა საზოგადო პოლიტიკურ რეფორმებისა, ისინი ამ ჟამად თხოულობენ საფაბრიკო კანონმდებლობის გაუმჯობესებას, რომელიც ძლიერ ჩამორჩენილია ავსტრიაში. საფაბრიკო კანონ-მდებლობა ძლიერ ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ, და რაც გაკეთდა, გაკეთდა მხოლოდ ამ 10—15 წლის განმავლობაში. 1884 წელს გამოიცა კანონი საფაბრიკო ინსპექციის შესახებ, 1885 წლის კანონმა კი გააწესრიგა მუშათა შრომის პირობები. უკანასკნელის კანონის ძალით საფაბრიკო მრეწველობაში მუშაობა უნდა სწარმოებდეს არა უმეტეს 11 საათისა (გარდა შესვენებისა); აკრძალულია ბავშვებისათვის 12 წლამდის მუდმივი მუშაობა მრეწველობაში; 12—16 წლის ბავშვებს შეუძლიათ იმუშავონ, რამდენად ეს არ ავნებს მათ ჯანმრთელობას და ხელს არ უშლის სკოლაში სიარულს; არა-სრულ-წლოვანთა მუშაობა არ უნდა გრძელდებოდეს დღეში 3 საათზე მეტს; 14 წლისაზე ნაკლების ბავშვის მიღება არ შეიძლება ფაბრიკაში; ღამით მუშაობა აკრძალულია ქალებისა და არა-სრულ-წლოვანთათვის. კვირაობით დასვენება უნდა გრძელდებოდეს არა ნაკლებ 24 საათისა. სავალდებულოა ფაბრიკის და სახელოსნოს პატრონისათვის მუშების დაზღვევა (მუშა იხდის ერთს-მეათედს დასაზღვევ ფულისას). 1898 წ. დაარსდა აგრეთ წოდებული სამრეწველო სასამართლოები, რომელნიც არჩევენ უთანხმოების და შეტაკების საქმეებს მუშათა და მეფაბრიკე მექარხნეთა შორის კაპიტალის და შრომის ურთიერთობის ნიადაგზე. სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს სამინისტრო და 20 წევრში ათს ირჩევენ მუშები და ათს მექარხნენი.

(დასასრული იქნება)

მოაზრენი ვართო და მართალი რომ ვსთქვათ—მხოლოდ გაუნათლებელნი, უვიცობის შვილნი არიან და ძლიერ განირჩევიან ევროპიელ ლიბერალთაგან. მათი რჯული—მოდის მიმდევრობაა, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვებია, რადგან პირველი სიტყვები იმათ არ გაეგებათ. რუსეთში ყველა იცნობს იმათ, რა რჯულის კაცები არიან, ევროპიელები-კი, სამწუხაროდ, უჯერებენ ჩვენს „ლიბერალებს.“

„მოსკ. ვედ.“-ი უკბილო, გაანჩხლებულ დედაბერს მოგვაგონებს, რომელსაც უძლურება სჭირს და უწმაწური სიტყვების მეტი არაფერი შერჩენია გულის მოსაფხანად.

თეატრი

მოსკოვის სამხატვრო თეატრთან დრამატიული კურსებიც დაარსეს. კურსებზე იმავე პრინციპებით იხელმძღვანელებენ, რა პრინციპებიც ხსენებულ თეატრშია გაბატონებული. კურსებს დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა. თხოვნა შეუტანია 140 კაცს და ქალს, ვაკანსია-კი მხოლოდ 10-ია. მისაღებ გამოცდების დაწყებამდე სიტყვა წარმოუთქვამს დრამატურგსა და ბელეტრისტს ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს და სხვათა შორის, განუცხადებია, რომ ჩვენ თეატრსა და კურსებს შორის მჭიდრო კავშირია. სასცენო ხელოვნებას მოსწავლენი შეისწავლიან ერთსა და იმავე დროს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. მოსწავლეებს დრო გამოშვებით უმნიშვნელო როლების შესრულებას მიანდობენ, რომ სცენას შეეჩვიონ. მოსწავლეთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. კაცებს შორის ბევრია ისეთი, რომელსაც უმაღლესი განათლება მიუღია.

უცნაურ წარმოდგენის გამართვა განუზრახავს შესანიშნავ ლონდონელ არტისტს ირვინგს. ეს წარმოდგენა გაიმართება შემოდგომაზე შექსპირის ხსოვნის პატივსაცემლად. არტისტი ათ სხვა-დასხვა სცენას წარმოადგენს შექსპირის თხზულებებიდან და ერთ საღამოს ათ ტიპს აჩვენებს დამსწრეთ. ამ რიგად ერთ ღამეს საზოგადოება შესანიშნავ არტისტს ჰნახავს ჰამლეტისა, მეფე ლირისა, შეილოკისა, მაკბეტისა, ჰენრიხ მეცამეტისა და სხვა როლებში. როგორც გაზეთები სწერენ, ეს გარემოება ინგლისისთვის დიდად საყურადღებოა. საქმე ის არის, რომ ინგლისელები მაგრე რიგად აღარ ეტანებიან შექსპირის პიესებს მაშინაც კი, როდესაც ირვინგი თამაშობს. ირვინგს იმედი აქვს, რომ ეხლა მაინც მოაწყდება ხალხი და გაავსებს თეატრსაო...

თეკლათი (სამეგრელო). 14 აგვისტოს თეკლათში სცენის-მოყვარეთ წარმოადგინეს „ფული და ხარისხი“, აზიანისა, „ჭკუისა მეირა“, ა. ცაგარლისა და „მონადირე“, გუნიასი. საზოგადოდ სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ როლები კარგად შეესწავლათ. ხალხი ბევრი დაესწრო. წმინდა შემოსავალი 40 მანეთი, როგორც გადმოგვცეს, ერთ ქართულ რედაქციას გაეგზავნება. **ეგიმარიონი.**

კიკნაველეთი (ზემო იმერეთი). 10 აგვისტოს გაიმართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა ადგილობრივ მასწავლებლის და სხვათა მეთაურობით. წარმოადგინეს ა. ცაგარლის „ბაიყუში“. მოთამაშეთ არა უშავდათ რა. ხალხი ბლომად დაესწრო. კიკნაველეთში ეს პირველი წარმოდგენა იყო და კარგს იზამენ, თუ გაიმეორებენ. ლ. ქ.

დაბა-სოფლები

აბაშა (სამეგრელო). როგორც „ცნობის ფურცლის“ მე-2208 ნომერში იყო მოხსენებული, ჩვენსკენ წლეულს სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ღლეხ-კაცობა ძალიან გახარებული იყო და მოელოდა დიდ მოსავალს, მაგრამ, საუბედუროდ, იმედი გაუცრუვდა. ექვს აგვისტოს მოვიდა კოკის პირული წვიმა. ამასთან ერთად ჩვენის ბედ-დოვლათის მონაწილემ აღმოსავლეთის ქარმაც გვინახულა. თუმცა წვიმა და ქარი დიდხანს არ გაგრძელებულა, სულ ერთი დღე ნახევარი იყო, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში დიდი ზარალი მოუტანა საზოგადოდ მთელ სამეგრელოს და კერძოდ აბაშის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებთ. გზაზე გავლა არ შეიძლებოდა. თითქმის ყველგან თხრილებიდან გადასული წყალი ერთ მტკაველზე იდგა. რიონი, რომელიც ს. კოდორის ველის, ქვერს, წალიკარს, კადიშმატიდან გადავიდა და ისე მოედვა სიმინდებს, რომ მარტო ეგრეთ წოდებული „პიპირი“ (თავი) ჩანდა. ყველაზე მეტი ზარალი ქარმა მოგვაყენა. ამ ქარმა მიწეწ-მოწეწა სიმინდები, ხილი და ვენახი სულ დაამსხვრია. მესამე დღეს, ქარის ჩავარდნის შემდეგ, წაქცეული სიმინდები გლეხებმა მიაკრეს მთელ სიმინდებს და ეხვეწებოდნენ ღმერთს, რომ შემდეგ არ მოსულიყო ის წყეული ქარი. მაგრამ მეორე დღეს ამოვარდა ასეთივე ქარი და მიწეწ-მოწეწა წინა დღეს აყენებული სიმინდები. გლეხები ძალიან შეწუხებულნი არიან. შარშან ჩვენში სიმინდები უმეტეს ნაწილს ნედლად მოუტეხია და ამისთვის სიმინდი პეპლად გამოდის. სასიმინდეში რომ შეიხედოთ, გადარჩევა კარგი, თითქმის სულ პეპლებით არის სავსე. პეპელა სჭამს მარცვლის გულს, ჰჩრის და მერმე შიგა კვდება.

ამას წინად ს. კოდორში, რომელიც აბაშიდან სამი ვერსის მანძილზე, გლეხს ი. კაჭარავას თავს დაცემია თოფით თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ყმაწვილი. გლეხი, მუშაობით დაღალული, სახლში დაბრუნებულა, ვახშამი უჭამია და ადრე დაწოლილა, რადგან მეორე დღეს სხვაგან უნდა წასულიყო. დაწოლილა თუ არა, მოსულან ავაზაკები. ერთ მათგანს კარისთვის რიკუნი დაუწყია და დაუძახნია: „კარი გამიღეო“. გლეხს ნათესავი ჰგონებია, ამდგარა, გაუღია კარი და უთქვამს: „ვინ ბრძანდებითო“. პასუხად ერთს თოფი უხლია. ტყვია გლეხს პირდაპირ გულში მოხვედრია და იქვე მოუკლავს. ფული ქურდებს მხოლოდ სამი მანეთი წაუღიათ. ამ გლეხს დიდი ფულის სახელი ჰქონია გავარდნილი. ქურდები ჯერ-ჯერობით ვერ უნახავთ.

ჩვენში წლეულს ძალიან გამრავლდა მათხოვრების რიცხვი. თითქმის ყოველ დღე დედაკაცი ან მამაკაცი მოგადგება კარზე და იძახის: „ბერძენი, ღმერთმანი ბერძენი, ერთი კაპეიკი ფული მომეცით“. იძახიან ბერძნები ვართო, მაგრამ ბერძნულად რომ რამე უთხრა, ვერ გაიგებენ. ხან და ხან ღამე მოგადგება კარზე და ღამის გათევას გთხოვს. უარი თუ უთხარი, არ დაგეხსნება: „უსათუოდ გამათევიე ღამეო“. ერთხელ მოვიდა სახლში ერთი, როგორც თვითონ ლაპარაკობდა, ბერძენი. ვთხოვე მოწმობის ჩვენება. იმან აასრულა ჩემი თხოვნა და მაჩვენა, რომლის შინაარსი იყო შემდეგი: „ესე მიეცა გლეხს №, რომელიც არის ძალიან ღარიბი. ეს კაცი მსახურობს ეკკლესიაში „სტაროსტად“. ამ გლეხმა უნდა იყიდოს სამი ზარი, რომელიც ეღირება 150 მანეთიო“. ვკითხე გლეხს: „მართლა სტაროსტა ხარ მეთქი“? „არაო“.—„ზარები უნდა იყიდო მეთქი“?—„არაო“. ასე სწერია მოწმობაში მეთქი და ხმამაღლა წავუკითხე. მაშინ საწყალმა სთქვა: „ზარის საყიდლათ კი არა, ჩემთვის არაფერი არა მაქვსო. ტყუილი დაუწერია მაგ მღვდელსო“,—და წავიდა

გუბათნელი ნესტორი.

სოფ. ალი (ქართლი). ალის საზოგადოებამ მამასახლისისაგან გაიგო, რომ თორმეტს აგვისტოს მაზრის უფროსი მიტყვობა მოვაო. 12 აგვისტოს საღამოთი მართლაც მოვიდა მაზრის უფროსი და ღამე მღვდელ მ. მაჭარაშვილთან დარჩა. გათენდა თუ არა დილა, მთელმა ხალხმა მოიყარა თავი მღვდლის კარებთან. მაზრის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, რომ ახლად გადმოგზავნილი ვარ ამ თქვენს კუთხეში, მინდა გავიცნო თქვენი ცხოვრება და გავიგო ყოველივე, ამიტომ მითხარით, თუ რამ სათხოვარი გაქვთო. ხალხის მანდობილობით გლეხმა სოლომონ ნოზაძემ შემდეგი გამოუცხადა: „ბატონო უფროსო, დიდად მოხარული ვართ თქვენის მოსვლით, და ქართულის ენის ცოდნით. ჩვენი უმთავრესი გაჭირვება ის არის, რომ ძალიან შევიწროებულნი ვართ ვაჭრის დ. ი. ჯ—საგან, რომელიც მეორე-მეორედ გვახდევინებს ფულს. არის ჩამდგარი სოფელში ბუდეშივით და ყველას ტყავს სძრობს; ბევრი შეძლებული გლეხი გაალარიბა, ყველას ჰზაგავს, თუ მაგრა აქვს სადმე დაყურდნილი ადგილი, ფეხს არ ადგმევინებს ჩვენს საქონელს; თვითონ კი ჩვენს მამულებზე დაპარპაშობს. თქვენ რომ აქ მობრძანდით, ჯ—ვი ქადულობდა, მაზრის უფროსი მომავს და ყველას ტყავს გავაძრობო. გაგვატყავა, ბატონო, ყველანი, გაგვაღარიბა, სულები-და შეგვაწუხა მარტო... აგვიტეხა დავა ტყუილ უბრალოდ სასოფლო მინდორზე, იქნება ერთმანეთს არ მიჰყვნენ და წავართვათ; დაგვახარჯვინა თავს თუმნამდე დავაში, შეგვკრა გზები, შეგვიხუთა სულები და ვართ ასე მაგისგან ვაი ვაგლახში ჩაცვივნულნი. მაგის უჯიათო მოქმედება ჩვენთვის ძნელი ასატანია, გთხოვთ ხელწინით, გვიშველოთ: ან ეგ მოგვაშორონ და ან ჩვენ გადაგვასახლონ აქედანაო“. მაზრის უფროსმა დახმარება აღუთქვა სოფელს.

სერგო ხუცესი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

. 18 აგვისტო

პეტერბურგი. დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ტვინში სისხლის დენა მოუვიდა და სიდამბლავის ნიშნები გამოაჩნდა სხეულის მარცხენა ნაწილზე. 17 აგვისტოს ღამე დიდმა მთავარმა კარგად გაატარა. სიდამბლის ნიშნები არ შეცვლილან. მისი უმაღლესობა სრულ გონებაზეა, გული რიგზე მოქმედობს. მაჯა 64-სა სცემს. ტემპერატურა 15 აგვისტოს საღამოთი 37, 0,17-ს 7.—17 აგვისტოს მიხაილოვკაში მათი უდიდებულესობის და ელლინთა მეფის თანადასწრებით სასახლის სამღვდელოებამ მონათლა დიდი მთავრის ახლად დაბადებული ქალი ქსენია გიორგის ასული. ემბაზთან იდგნენ ელლინთა დედოფალი და ხელმწიფე მემკვიდრე. ნათლიად იყვნენ ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრის მეუღლენი ქსენია ალექსანდრეს ასული და ელენე ვლადიმირის ასული და დიდი ბრიტანიის პრინცესსა ვიქტორია. ნათლიებად იყვნენ აგრეთვე დიდი მთავარნი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე, სერგეი მიხეილის ძე და საბერძნეთის მემკვიდრე კონსტანტინე.

სტამბოლი. ის პირნი, რომელთაც ბრალი ედებათ ამერიკის ვიცე-კონსულის მოკვლის განზრახვაში, დატყვევებულ და სამართალში მიცემულ იქმნენ.—შემდეგი ოფიციალური ცნობა მოგვივიდა: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ზოგიერთა პირნი ივიწყებენ ადამიანურ გრძნობას და დინამიტით აფეთქებენ რკინის გზის მატარებლებს და არ ინდობენ მოგზაურებს, სიმპერატორო ირადე ჰკრძალავს შუშხუნების აშვებას ტახტზე ასვლის დღეს, რომ პოლიციას გაუადვილოს ბოროტ-მოქმედთა პოვნა“. ამ შუშხუნების ფასი ირადეს გამოცხადებულ ბრძანებით სპეციალურ კომისსიას გარდაეცეს, რომელიც შემდგარია დაჭრილთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად.

ბელგრადი. მოჰხდა მიტინგი, რომელსაც 8,000 კაცი დაესწრო. მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც კრება აცხადებს, რომ სერბიას არ სურს საქმის გართულება ოსმალეთში, მაგრამ გულცივად ვერ უყურებს სლოვიანთა მდგომარეობას მაკედონიაში და ძველ სერბიაში და ამიტომ ჰფიქრობს, რომ მაკედონიაში წეს-რიგის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ამ საქმეს მიანდობენ ბალკანეთზე მყოფ სახელმწიფოებს და ამასთან დაიცავენ სულთანის უფლებებს. საგანგებო კომისსიას მინდობილი აქვს განახორციელოს აღნიშნული რეზოლუცია. მიტინგზე წაიკითხეს ტელეგრამმა ვრანიდან, რომლის თანახმადაც პროხორპსინსკის მონასტერი, რომელიც სერბიის საზღვარზეა, დანგრეულია ოსმალებისაგან. მცხოვრებნი დახოცნიათ. ოფიციალური ცნობა ამის შესახებ არ მოსულა. მიტინგის შემდეგ რამდენიმე ბავშვმა სცადა გაემართათ დემონსტრაცია ოსმალეთის საელჩოსთან, მაგრამ რადგანაც ზომები იქმნა მიღებული, რომ უფროსნი ამ საქმეში არ გარეულიყვნენ, არეულობა არ მოჰხდარა.

ბუდაპეშტი. მოვიდა ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი და სოფიას წავიდა.

კამიშლოვი. სიფხიზლის საზოგადოებამ მოსულ მუშათა და უმწეო სოფლელთათვის ღამის თავშესაფარი გამართა.

ათინა. დააპატიმრეს 5 ბოლგარელი, რომელიც დედეაღაჩში გაგზავნას უპირებდა 2 ბოჩკა დინამიტს.

პარიზი. ლუბე რომს გაემგზავრება 1904 წლის თებერვლის დამლევს. პაპა მიიღებს პრეზიდენტს.—აქაურმა ბოლგარიის ელჩმა განაცხადა, რომ ვენაში გავრცელებული ხმა, ვითომ მთავარი ფერდინანდი გაქცეულიყოს, უსაფუძვლო ტყუილია, აგრეთვე სიცრუეა ის ხმაც, ვითომ იმის წინააღმდეგ შეთქმულობა იყოსო. თუმცა მთავრის მდგომარეობა საძნელოა, იგი მაინც მოახერხებს საქმე გადასწყვიტოს ისე, რომ არც ოსმალეთისა და არც ოპპოზიციონურ პარტიის მხრით განხეთქილება არ გამოიწვიოსო.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, რომ ამბოხება რამდენსამე დღეში მოისპობა. იბრაჰიმ-ფაშა დაინიშნა მომქმედ არმიის უფროსად.—მონასტირში საგანგებო სამსჯავრომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ორ ბოლგარელს.—ოსმალთა და ბერძენთაგან შემდგარი კომისია მონასტირიდან წავიდა, რომ გადახვეწილ სოფლელთ ჩააგონოს თავიანთ სამშობლო სოფლებში დაბრუნდნენ.—აჯანყებულთა მოქმედების სამაგიეროდ ოსმალეთის მხედრობამ რამდენიმე სოფელი გაანადგურა რეზნისა, პრესტისა და ოხრიდის ოლქებში. ოსმალეთის მთავრობამ საიდუმლო ცნობა მიიღო, რომ მოსაზღვრე ადგილებში მყოფ ბოლგარიის მხედრობას ჩუმად კიდევ მიემატა ხუთი ქვეითა და სამი ცხენოსანი პოლკიო.—ამერიკის ვიცე-კონსული ბეირუთში არც მოუკლავთ და არც განზრახვა ჰქონიათ იმის მოკვლისა; როცა იგი ეტლით შინ ბრუნდებოდა, ქორწილიდან დაბრუნებულმა ოთხ-ხუთ ადამიანთან მომავალმა კაცმა ჰაერში გაისროლა ტყვია ქვეყნის ჩვეულებისამებრ; ვიცე-კონსულს ეგონა მე მესვრიანო. აღნიშნული პირნი დააპატიმრეს და სამართალს მისცეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 14 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,27¹/₂
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5-6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	99¹/₂ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¹/₂ მყიდ.
4¹/₂% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95³/₈ გაყ.
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	442³/₄ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335³/₄ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289¹/₄ „
5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4¹/₂% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91³/₄ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქციები	184 .

განცხადებანი

კურსები

ბუხჰალტერიისა, საკომერციო არითმეტიკისა და სავაჭრო უფლებისა
ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან.
(წელიწადი მეოთხე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი გაგრძელდება არა ნაკლებ 6 თვისა. სწავლა საღამოობით იქნება, სამჯერ კვირაში. კურსის მსმენელად შეუძლიანთ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

თხოვნები საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთ. სახ. № 11).

(10—7)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მთაის უმაღლ ხიდის პირას ალექსანდრე [illegible] მფარველობის ქუჩ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

(0—210)

Дозв. ценз. Тифлисъ, 18 Августа 1903 г.   ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.   (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)